№ 138 მკათათვე 4, სამშაბათი 1889 მკათათვე 4, სამშაბათი № 138


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889

ტფილისი, 3 მკათათვე

ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა მეტად საეჭვო და საძნელოა. სახელმწიფონი მუდამ დღე ქიშპობენ და ჯამათობენ და ერთმანეთს თოფ-ზარბაზნით ემუქრებიან. ზოგი იმ აზრისაა, რომ ომი მოსალოდნელიაო, და ამის საბუთებიც მოჰყავსთ. სხვათა შორის დიდი ლაპარაკი აქვსთ იმის გამო, რომ პაპი აპირებს იტალიის დედა-ქალაქიდგან გადასახლებას ქალაქ პალმში, კუნძულს მაიორკზე, რომელიც ისპანიას ეკუთვნის. იწერებიან, ვითომ პაპს დიდ-ძალი ბარგი და ავეჯი უკვე გაუგზავნია რომიდგან და სადაც არის თითონაც განშორდება რომსაო. რასაკვირველია, ეს ამბავი აალაპარაკებდა არამც თუ კათოლიკეთ, არამედ ყველას, ვინც-კი პოლიტიკას თვალყურს ადევნებს. დიდი რამ საბუთი უნდა ჰქონდეს პაპს, თუ სატახტო ქალაქს სტოვებს, იმ ქალაქს, რომელსაც მთელი კათოლიკობა სასოებითა და პატივისცემით შეჰყურებს, ვითარცა ბუდესა და დედაქალაქს კათოლიკობისას. რომს ძველადგანვე იმდენად დიდი სახელი აქვს დაპკვიდრებული, რომელიც სხვათა შორის კათოლიკობამაც შესძინა,— რომ უეჭველია პაპის იქიდგან გადასახლება მთელს კათოლიკობას გააკვირვებს და გააოცებს. ოდესმე პაპი რომიდგან ჰბრძანებლობდა მთელს ევროპაში და პაპის სახელსა და სიტყვას დიდი ზარი ჰქონდა და დღეს-კი პაპი იძულებულია ამ ქალაქს თავი დაანებოს და სადღაც უცნობს ქალაქში გადაიხვეწოს.

როცა ხმა გავარდა, რომ პაპი იძულებულია რომი დასტოვოს და ისპანიას შეეკედლოსო, იმაზე დაიწყეს სჯა და ბაასი, თუ რამ მიიყვანა ამ ზომამდე მისი უწმინდესობაო. ყველასათვის ცხადია, რომ რომიდგან პაპის გადასახლება ძლიერებასა და გავლენას მოაკლებს მთელს კათოლიკობას, და თუ პაპი არც ამას დარიდებია, სჩანს, რომ რაღაც დიდი მიზეზი აქვს, რომლის აცილება იმის ხელთ არ არის. ზოგის აზრით, მიზეზი ის არის, რომ პაპი უფრთხის საერთო ომს ევროპისას, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს იტალიამაც. რომიდგან გადასახლებით პაპი აპირებს პროტესტი გაუწიოს იტალიის მართებლობას, რომელიც საომრად ემზადება და გერმანიასა და ავსტრიას ექომაგება.

ზოგის აზრით-კი პაპს სულ სხვა საბუთი აქვს გადასახლებისა. საკმაოდ შემჩნეულია, რომ საზოგადოდ კათოლიკობა და კერძოდ პაპი თანდათან ჰკარგავს გავლენას და სახელს ევროპაში. იმ სახელისა და ძლიერებისა, რომელიც ერთსა და მეორეს წინად ჰქონდა, დღეს აჩრდილი-ღაა დარჩენილი, და ამას სტირის მთელი კათოლიკობა და იმისი მეთაური პაპიც. განსაკუთრებით ისა სწყენია თურმე პაპს, რომ თვით რომში ძეგლი აუგეს გამოჩენილს ფილოსოფოსს ჯორდანო ბრუნოს, რომელიც ამ სამასის წლის წინად აწამა და ცეცხლში დასწვა კათოლიკეთა სამღვდელოებამ იმიტომ, რომ ეს ფილოსოფოსი კათოლიკობას უარჰყოფდა. პაპმა იწყინაო, როგორ თუ ძეგლი აუგეს თვით კათოლიკობის დედა-ქალაქში კათოლიკობისავე მტერსა და უარ-მყოფელსო და ამ ამბავს მთელი ევროპა სიხარულითა და თანაგრძნობით მიეგებაო. სჩანს, კათოლიკობის სახელი და მნიშვნელობა თანდათან მცირდება და ეკკლესიას არავინ მოსარჩლე და მოკეთე აღარა ჰყავსო.

ამ ორს მიზეზს ასახელებენ პაპის გადასახლებისას და ვგონებთ, რომ ერთიცა და მეორეც უნდა ჰქონდეს პაპს მხედველობაში. ევროპის საერთო ომი პაპისათვის სრულიადაც სანატრელი არ არის, რადგანაც, თუ ვინიცობაა იტალია გამარჯვებული დარჩა, პაპის სახელი და გავლენა შესამჩნევად შემცირდება, რადგანაც დღეს იტალიის მართებლობა და პაპი ერთმანეთს მტრულის თვალით შეჰყურებენ. ომიც რომ არ მოხდეს, მაინც ისეთი ამბავი, როგორიც იყო ჯორდანო ბრუნოს ძეგლის აგება, მეტად ამცირებს პაპის მნიშვნელო- [illegible] მდგომარეობა საძნელო და საეჭვოა და სწორედ ესა აქვს სატირელი მთელს კათოლიკობასაც.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში შეუმჩნევიათ, რომ ტფილისში ვილაცეები აკეთებენ ყალბს ფულს, ძველის ყაიდის სამ მანათიანებს. ეს ყალბი ფული ისე ოსტატურად არის თურმე გაკეთებული, რომ თვით სახელმწიფო ბანკშიაც ვერა შეუმჩნევიათ-რა. სიყალბე მხოლოდ იმით შეეტყობა, რომ № 748,682 უზის. რამდენიმე ცალი ამ ფულისა პოლიციას უკვე ხელში ჩაუგდია.

*** ზემო-ქართლი: აქ ამ თთვის პირველ რიცხვებში ელოდებიან მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალადის მობრძანებას. ეგზარხოსი გორიდგან სოფ. ტირძნისში მობრძანდება და მაზრის მარშლის ბ-ნ ი. სულხანიშვილისას ჩამოხდება. მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას თურმე განზრახვა აქვს დაათვალიეროს უძველესი ეკკლესიები ზემო-ქართლისა. ჯერ დაათვალიერებს სოფ. არბოს წმ. გიორგის ეკკლესიას და მერე ნიქოზისას. შემდეგ, როგორც ამბობენ, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა წაბრძანდება ახალციხის მაზრაში.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ კომიტეტი, რომელსაც საგნად აქვს განაახლოს და შეაკეთოს სოფ. ნიქოზის ტაძარი, წარსულის თთვის 24 უკვე შესდგომია თავისს საქმეს.

*** დ. ცხინვალი: პირველს ამ თთვისას ცხინვალის ტელეგრაფის უფროსს, ბ-ნს წინამძღვრიშვილს, ბრძანება მოუვიდა ფოსტა - ტელეგრაფის უწყების უფროსისაგან, რომ ამ თთვის ხუთიდგან ტელეგრაფის სტანციასთან საფოსტო კანტორაც გაჰმართოს. აქაური საზოგადოება დიდის სიხარულით მიეგება ამ ამბავს. ფოსტა კვირაში სამჯერ ივლის.

*** სოფ. ტირძნისი: აგერ სამს წელიწადზე მეტია, რაც ჩვენში, გორის მაზრის მარშლის ბ-ნ ი. სულხანიშვილის თაოსნობით, გამართულია სამრევლო სკოლა. სასკოლო შენობა თვით მარშალმა ააშენა საკუთარის ხარჯით და საკუთარს მამულში, რომელიც სკოლას უფასოდ დაუთმო. ამ სკოლაში დღემდე მასწავლებლად იყო მღვდელი სოფრონ კასრაძე. ეხლა-კი, როგორც შევიტყეთ, ბ-ნს სულხანიშვილს განზრახვა აქვს თურმე მოიწვიოს ახალი მასწავლებელი და ამიტომ სცდილობს საზოგადოებამ განაჩენი შეადგინოს და ხარჯი გაიწეროს მასწავლებლის დასაქირავებლად.

*** გორი: ამ თთვეში (მკათათვეში) იქნება ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამორჩევა. 10-ში პირველ ხარისხის ხმოსნებს აირჩევენ, 12-ში მეორე ხარისხისას და 14-ში მესამისას. აწინდელი ქალაქის თავი აღარ ნდომულობს თაობას. როგორც შევიტყეთ, მთელი გამგეობა სამსახურს თავს ანებებსო, ასე რომ გამგეობა ქალაქისა და საბჭო ახლად უნდა შესდგეს. ქალაქის თავად ვინ იქნება, ჯერ არავინ იცის. ხალხი გახუმებულია და არავის ასა- [illegible] ევს არჩევანი ვგონებთ დამოკიდებული იქნება იმაზედ, თუ როგორს ხმოსნებს აირჩევენ. აღდგომა და ხვალაო, ამასაც მალე მოვესწრობით.

*** იქედამვე: გორში არსენ კალანდაძის სტამბაში უკვე იბეჭდება პირველი და მეორე წიგნი თომა კემპელის თხზულებისა „მიბაძვა ქრისტესი“, რომელიც სთარგმნა ფრანგულიდგან ლათინურთან და რუსულთან შედარებით გორის ფრანგების

---

# ფელეტონი

## ფშაველი და ფშაველები

(ეთნოგრაფიული მიმოხილვა)

გეოგრაფიული მდებარეობა ფშავეთისა.

ფშაველები სცხოვრობენ მდ. არაგვის, ივრის, ილტოს და ალაზნის სათავეებში. ზოგიერთები რუკაში ფშავეთს მარტო ივრის სათავეში შეცდომით აჩვენებენ, ხოლო არაგვის სათავეში-კი ხევსურეთსა და ალაზნის სათავეში თუშეთს აჩვენებენ. არაგვის ხეობაზედ ფშაველები სცხოვრობენ წროფავის საზოგადოებიდგან მოკიდებული არაგვის სათავემდე. წროფავის საზოგადოება მდებარეობს მთიულეთის არაგვის ფშავის არაგვთან შესართავთან, სოფ. ქინვას ახლო, და დასახლებულია ფშაველებით და ქართველებით. მთიულეთის არაგვის შესართავს ზევით ფშავის არაგვი კიდევ ორ ტოტად იყოფება, ერთი ტოტი მომდინარეობს ჩრდილოეთ დასავლეთიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ერთვის მეორეს, რომელიც ხსენებულ შესართავამდე აღმოსავლეთიდგან მომდინარეობს სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ხოლო ამ ადგილიდგან, სადაც ეს ორი ტოტი იყრება, არაგვი სამხრეთისაკენ ბრუნდება და ერთვის მტკვარს. იმ ალაგს, სადაც ეს ორი მდინარე ერთვის ერთმანეთს, ჰქვიან «ორ-წყალი». „ორ-წყალი“ მიჯნაა ხევსურეთისა და ფშავეთისა. მარჯვენა ტოტს ფშაველები უწოდებენ „ხევსურეთულას“, ხოლო მარცხენას—არაგვს. «ხევსურეთულას» ხეობაზე დასახლებულნი არიან ხევსურები, ხოლო საკუთრივ არაგვის ხეობაზე ორ-წყალს ზევითაცა და ქვევითაცა, როგორც ნათქვამია, წროფავის საზოგადოებამდე დასახლებულებია ფშაველები. მხოლოდ ერთი სოფელი, სახელდობრ კაწალხევი, დასახლებულია ფშაველებითა და ხევსურებითა, რომლებიც თითქმის სულ გაფშაველებულან. ივრის ხეობაზე სცხოვრობს თიანეთის საზოგადოებიდგან მოკიდებული ივრის დასაწყისამდე არტნის სამამასახლისო. არაგვის ხეობაზედ მცხოვრები ფშაველები შეადგენენ ორს სამამასახლისოს და ორსაც ივრის ხეობაზედ; მეორე საზოგადოება ივრის ხეობაზე ფშაველებით დასახლებული ბოჭორმისაა, სოფ. თიანეთსა და ერწოს ქვევით. ილტოსა და ალაზნის ხეობებზედ ფშაველები დამოუკიდებელ საზოგადოებებს არ შეადგენენ, აქ რამდენიმე სოფელი იმათ გაუშენებიათ ამ საუკუნის პირველ ნახევრის გასულს. ამ საზოგადოებათა გარდა ფშაველები სცხოვრობენ დუშეთის მაზრაში არანისისა, ნოჯიკეთისა და ცხვარი-ჭამიის საზოგადოებაში, თიანეთის მაზრაში: ზემო თიანეთისა, თიანეთის, საყარაულოს და ნაქალაქრის საზოგადოებებში ქართველებთან ერთად ანუ მეზობლებად. ფშაველებით დასახლებულია რამდენიმე სოფელი ქართლშიაც, გორის მაზრაში და ადგილის სივიწროვის გამო გადასახლებულან არაგვის ხეობიდგან. ესენი თუმცა დიდის ხნის გადასახლებულები არიან, მაგრამ თავის წინაპართ სამშობლო ჯერაც არ დავიწყებიათ, არ დავიწყებიათ მეტადრე თავიანთი მამა-პაპის სალოცავები. თიბათვეში, როდესაც ფშავში „ხატობებია“ და ბარშიაც ცოტაც არის მოცლილობაა, ესენი ხშირად დაიარებიან ფშავში სალოცავად და ნათესავების სანახავად. ქართლელ ფშაველს თუმცა ძალიან დასტყობია მშობლიურის ქვეყნისა და ერის მოშორება, გასხვაფერებულა, უფრო ქართლელის შეხედულობა აქვს, მაგრამ მაინც ნამდვილ ქართლელად არ ჩაითვლება, არც გარეგნულად და არც ხასიათითა და მიხვრა-მოხვრით.

როგორც მოხსენებულია ზევით, ფშაველების უმრავლესი ნაწილი მდ. ივრისა და არაგვის ხეობებში სცხოვრობს. როგორც ეს ორი მდინარე, ისე მდ. ალაზანი, ილტო და პირიქით თუშეთის ალაზანი გამომდინარეობენ ერთის მთიდგან, რომელსაც სახელად „ბორბალი“ ჰქვიან. რადგანაც ბორბლის მთიდგან ბევრი მდინარე გამოდის, ამის გამო ფშაველებს ეს მთა შუა ხმელეთად მიაჩნიათ. არაგვისა და ივრის ხეობებს შუაზე უძევს და ჰყოფს მთა, რომელსაც ერთი სახელ წოდება არა აქვს, იწოდება სხვა-და-სხვა ალაგს სხვა-და-სხვა სახელით, მაგალითად: იკვლიეი, იალნო, საბადური, ულლისი, გორ-მაღალა და სხ. ეს მთა იწყება ბორბლის მთიდგან, რომელიც მოაბამს კავკასიონის მთის უმთავრესს ქედსა, უვლის თიანეთსა და ერწოს დასავლეთის მხრით, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ ბრუნდება, უვლის ერწოს მინდორს სამხრეთის მხარეზე, შემდეგ სამხრეთისაკენ და თავდება სოფელ მარტყოფთან. ივრისა და ილტოს ხეობებსა ჰყოფს ბორბლის მთიდანვე დაწყებული სხვა მთა, რომელიც ფშავეთის ქვემოდ ცივ-გომბორის მთად იწოდება, ხოლო საკუთრივ ფშავში არც ამ მთასა აქვს ერთნაირი სახელწოდება; იმასაც უწოდებენ სხვა-და-სხვა ადგილს სხვა-და-სხვა სახელს, მაგალითად: დამასტე, ჰიაურა, საგამი, კორსაეი, გარეჯა, დარბაზის თავი და სხ...

ჩრდილოეთითა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ფშავეთი შემოზღუდულია კავკასიონის მთის უმთავრეს ქედით, დასავლეთით გუდამაყრის მთებით, რომლებიც ებმიან კავკასიონის მთის უმთავრესს ქედსავე.

უმთავრესი გზები ფშავში ბარიდგან მისასვლელი ორია: ერთი ივრის ხეობიდგან ს. თიანეთიდგან და მეორეც არაგვის ხეობაზედ ს. ჟინვანიდგან. ივრის ხეობის გზა მდინარე ივრის მარჯვნივ არის. ეს გზა თუმცა ჯეროვანად შეკეთებული არ არის, მაგრამ მაინც ს. ლუჩანურამდე შეიძლება, თუმცა დიდის გაჭირებით-კი, ურმით მოგზაურობა. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაცა, რომ ივრის ჭალა ფართოა, და ამის გამო, ადიდებული იორი გზამდე ადვილად ვერ უწევს და ვერ აზიანებს ისე ხშირად, როგორც ესა ხდება არაგვის ხეობაზედ. არაგვის ჭალა ფშავში ვიწროა, გზაც ვიწრო და საცალ-ფეხო

ეკკლესიის მღვდელმა ა. მღებრიშვილმა. წიგნი იბეჭდება აკადემიურის ასოთი და ყოველი თავი იწყება დიდის ყვავილოვანის ასოთი, რომელიც საგანგებოდ ამოაჭრევინეს ბ-ნს გ. ტატიშვილს. წიგნი გამოვა მკათათვის ნახევრამდე. ეს წიგნი, როგორც „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული, წარსულს საუკუნეში გადმოუთარგმნია გორში მცხოვრებელს დავით ტლეკაშვილს, ქართველს ფრანგს, რომელიც ყოფილა ახალციხის ფრანგების ეკკლესიის მღვდლად.

*** ქართლი: წელს ქართლში ქერისა და სიმინდის ამინდია. ქერი მაინც ნამეტნავად კარგია. თივაც აუარებელი მოვიდა. მხოლოდ პურმა და ღვინომ გვიღალატა.

*** პირველს ამ თთვისას პირველს განყოფილებაში, კიროჩნი ქუჩაზე, სპარსეთის ქვეშევრდომმა იოსებ საფაროვმა ქვით თავი გაუტეხა თავისს ცოლს. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამ თთვის ორს პირველს განყოფილებაში, ოლგას ქუჩაზე, უპოვნიათ მიგდებული ბავშვი დედათა სქესისა. ბავშვი ორის თთვისა უნდა იყოს. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** იმავე დღეს, მეშვიდე განყოფილებაში, სათადარიგო ჯარის-კაცის მეუღლემ მარიამ უტიუგოვისამ თავის მოკვლა განიზრახა და და ამიტომ წყალში გახსნა წუმწუმა და დალია. მარიამ უტიუგოვისა სამკურნალოში გაჰგზავნეს. შიში არა არის-რა. გამოძიება სწარმოებს.

*** მეხუთე განყოფილებაში, ორს ამ თთვისას, შუა ბაზარში, მღვდლის შვილმა არშაკ [illegible] სულით ავადმყოფი ყოფილა. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** იმავე დღეს და იმავე ბაზარში ლეკამა მაჰმად-ოღლიმ უცაბედად დამბაჩა გაისროლა და ტყვია მარცხენა ფეხში მოიხვედრა. ტყვიამ ფეხს გაატანა და ზურგი გაჰკინწლა ბაყალს ივანე ლუკაშვილს. ლუკაშვილი სრულიად კარგად არის. მაჰმად-ოღლი საავადმყოფოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

გორი, 28 თიბათვე. ყოველ წლივ, 25 თიბათვეს, დანიშნული არის ხოლმე გორის სამასწავლებლო ოლქის სამღვდელოთა კრება. გორის სასულიერო სასწავლებლის სამოსწავლო ოლქის სამღვდელოებას შეადგენს ორი მაზრა: გორისა და ახალციხისა. მარტოდ-მარტო ეს ორი მაზრა ინახავს სამს განყოფილებას მოსამზადებელის კლასებისას და ჰფარავს ზოგიერთ ხარჯს გამოღებულის ფულით. ეს ოლქი გაყოფილია ათ საბლაღოჩინოდ და უნდა ჰგზავნოს ხოლმე კრებაზე თხუთმეტი წარმომადგენელი (დეპუტატი), მაგრამ ხშირად თერთმეტზედ მეტი არ შეიკრიბება ხოლმე. კრებამ თანდათან ფერი იცვალა: წინად უფრო მოხუცი მღვდლები იყრიდნენ თავს დღესკი იმათ ადგილი დაუთმეს ახალგაზდა მღვდლებს, რომელნიც უფრო გულიანად და ენერგიულად ეკიდებიან საქმეს,

აწინდელს კრებას ბევრი საქმე ჰქონდა გასარჩევი. გორის სასულიერო სასწავლებელი ახალს სახლში გადავა ამ წლის ენკენისთვიდგან, რადგან შენობა გათავებულია და დღე-დღეზედ ჩაიბარებენ. ამიტომ სასწავლებლის გამგეობამ მოსთხოვა კრებას ფული სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის, რომელიც უნდა დაიფაროს ახალ სახლებში გადასვლისას. აი რა მოსთხოვა სულ გამგეობამ: ა) ფულის [illegible] ახალის სასწავლებლის დასაზღვევად; ბ) უმცროს მოსამზადებელ კლასის მასწავლებლისათვის ჯამაგირად ექვსასი მანეთი წელიწადში. ამ საგნის შესახებ შარშანდელმა კრებამ დაადგინა: დაენიშნოს ხუთასი მანეთი მასწავლებელს. ეს ფული მიეცეს სწავლის ფულიდგან, რომელსაც შემოიტანენ მოსწავლენი მხოლოდ უმცროს მოსამზადებელ კლასისანი. ამ კლასში სწავლის ფული გადაჰხდეს ყველას, მღვდლის შვილებსაც, ძალიან ღარიბების გარდა. გ) ოთხის მოსამსახურისათვის, რომელნიც საჭირონი იქნებიან ახალს სახლში; დ) ექიმისათვის, რომელიც დღემდე მუქთად დადის და სწამლობს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთ; ე) წვრილმან ხარჯებისათვის, როგორც მაგალითად ცარცის, ღრუბლისა, მელნისა და სხვა საჭიროებათათვის; ვ) ანგარიშის დასაბეჭდად გაზეთს მწყემსში იმ ფულის დახარჯვაზედ, რომელიც სამღვდელოთაგან შემოდის; ზ) სასწავლებლის გამგეობის საქმეთა მწარმოებელს ჯამაგირისათვის; Ѳ) შესაძენად ბავშვებისათვის ოც-და-ათის ახალის სისტემის სკამისა; თ) გიმნასტიკის სავარჯიშოთათვის; ი) ოც-და-თექვსმეტ საჟენის შეშისათვის, რომელიც მოუნდება წელიწადში თხუთმეტს ღუმელსა და ორს სამზარეულოს; კ) სასწავლებლის ეკკლესიის მღვდელს ჯამაგირი; ლ) ძველის შენობის გაყიდვაზედ.

კრება დაიწყო 25, დილის თორმეტს საათზედ. ერთ-ხმად აირჩიეს კრების თავმჯდომარედ ბლაღოჩინი მღვდელი ახალციხის მაზრისა მ. დ. ხახუტაშვილი, რომელიც შვიდი-რვა წელიწადი იყო მასწავლებლად გორის სასულიერო სასწავლებელში და ეკურთხა მღვდლად ამ სამოსწავლო წლის პირველს ნახევარში. საქმეთა-მწარმოებლად აირჩიეს ბორჯომის მღვდელი მ. ს. დავითაშვილი. სულ შეიყარა თერთმეტი წარმომადგენელი (დეპუტატი). კრებამ პირველად დაადგინა: დაზღვევდეს ორივე შენობა და საჭი- [illegible] უმცროსის მოსამზადებელის კლასის მასწავლებლის ჯამაგირად ისევ ხუთასი მანეთი დასტოვეს; ეს ჯამაგირი უნდა მიეცეს სწავლის ფულიდგან, რომელიც მხოლოდ ამ კლასში მოსწავლეთაგან შემოვა განურჩევლად წოდებათა. წელს ამ კლასში სწავლობდა სულ ორმოც-და-რვა შეგირდი. ამათში ექვსი განათავისუფლეს სიღარიბის გამო სწავლის ფულის შემოტანისაგან; დანარჩენმა ორმოც-და-სამმა გადიხადა რვა-რვა მანეთი წელიწადში და ეს ფული მიეცა ჯამაგირად მასწავლებელს. რასაკვირველია, ხუთასი მანეთი ვერ შემოვიდა ამ წყაროდგან და ამიტომ დანარჩენი ფული უნდა შეავსონ სამღვდელოთა. ოთხის მოსამსახურის მაგიერად, რომელიც გამგეობამ ითხოვა, მხოლოდ ორი დანიშნეს, წელიწადში 132 მან. თითო; ეს ფულიც გაიწერა სამღვდელოებამ; ექიმს ჯამაგირი არ დაუნიშნეს, რადგანაც სხვა უფრო აუცილებელი ხარჯები გვაქვს და ამიტომ ეს საგანი ჯერ-ჯერობით გადაიდოსო. გამგეობის საქმეთა მწარმოებელსაც არ მისცეს ჯამაგირი, მხოლოდ ერთბაშად მისცეს საჩუქრად თორმეტი თუმანი. გამგეობის საქმეთა-მწარმოებელს სხვაგან, ე. ი. სხვა სასულიერო სასწავლებლის ჯამაგირი აქვს; აქ-კი გადამწერს თხუთმეტს თუმანს აძლევენ და საქმეთა მწარმოებელსკი არაფერს. ოც-და-თექვსმეტის საჟენის შეშის მაგიერად გადასწყვიტეს ოცი საჟენი; ძველს შენობას უნდებოდა წელიწადში ჩვიდმეტი საჟ. ძველს შენობას არც კარი, არც ფანჯარა და არც ღუმელები უვარგოდა და ახალს სახლში ყველაფერი ახალი და ჩინებულია. მაშასადამე, იფიქრა კრებამ, იქ, ახალს შენობაში, ჩვიდმეტს საჟენზედ მეტი არ უნდა წავიდეს და ამიტომ მხოლოდ ოცი საჟენი გადასწყვიტა.

იმ საკითხებს გარდა, რომელიც წარუდგინა გამგეობამ, თვით კრებამაც ბევრი საგანი გაარჩია. დააწესა ოთხი სტიპენდია, სამი ექვს-თუმნიანი და ერთი ხუთ-თუმნიანი წელიწადში და კიდეც მიიღო ოთხი ღარიბი მოსწავლე. ეს ფული თთვეობით ეძლე- [illegible] სასწავლებლის გამგეობისაგან. ძველის სახლების გაყიდვა დაადგინა ადრინდელმა კრებამ, მაგრამ ეხლა გადასწყვიტეს დარჩეს ძველი შენობა სასწავლებლისა სამღვდელოთა ხელში და რაც იქიდგან შემოვიდეს, მოხმარდეს სასწავლებელსაო; ყურის გდება სასწავლებლისა მიანდეს მასწავლებელს ამავე სასწავლებლისას ბ-ნ პ. ბურჯანაძეს, რომელსაც დაუნიშნეს გასამრჯელოდ წელიწადში თორმეტი თუმანი და ამას გარდა სადგომი ოთახები ძველს სასწავლებელში. ამ სახლებს ბევრი შეკეთება უნდა და არა მგონია იმდენი ქირა მისცეს სამღვდელოებას, რამდენიც ზედვე დაიხარჯება იმის შესაკეთებლად. კარგი იქნება ერთიანად გააქირავებდნენ.

კრებამ გადასწყვიტა იდღესასწაულოს დღე სასწავლებლისა და იმისის ეკკლესიის კურთხევისა და ამისათვის გადასდო საჭირო ფული. კრების გარდაწყვეტილებით, კურთხევის დროს, როდესაც სადილიც ექმნებათ გამართული, მოწვეულ იქმნებიან: მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი პალადი, ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე, არხიმანდრიტი ნიკოლოზი, რექტორი სემინარიისა, გორის სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელნი, ბლაღოჩინები და სამღვდელოთა წარმომადგენელნი (დეპუტატნი). ერთის სიტყვითა დიდის ამბით აპირებენ ამ კურთხევასა და დღესასწაულს.

სასწავლებლის ეკკლესიაც ენკენისთვემდე მზად იქნება; გადადებულია ფული როგორც კანკელისათვის, ისე ხატებისათვის. გამგეობამ სასწავლებლისამ კიდეც დაამტკიცებინა თავისი განაჩენი ეგზარხოს, პალადის. ეკკლესია იქმნება ნაკურთხი ღირსისა მამისა გიორგი მთაწმინდელის სახელობაზედ, რომელიც იყო მთარგმნელი ქართულ საეკკლესიო წიგნთა, კაცი ბრძენი და სწავლული. ეს განაჩენიც დაამტკიცა ეგზარხოსმა. ამოირჩიეს ეს წმინდანი საქართველოს ეკკლესიისა იმიტომ, რომ იმ დღეს, როცა ახალის სასწავლებლის საძირკველი ჩაიყარა, ჩვენი ეკკლესია იხსენიებს ქართველთ წმინდანებს, „მთაწმინდელებად“ წოდებულებს. ამ „მთაწმინდელებში“ გამგეობამ აირჩია ერთი მათგანი, გიორგი მთაწმინდელი. ამათი დღეობა მოდის 13 მაისს, როცა საძირკველი ჩაიყარა სასწავლებლისა. გიორგი მთაწმინდელს ჩვენი ეკკლესია ცალკეც იხსენიებს, 27-ს თიბათვისას. ახალის ეკკლესიის მღვდლად იქმნება სასულიერო სემინარიაში კურსდასრულებული ბ-ნი კ. ცხვედაძე, რო-

---

არის; ურმითა და მარხილით მოგზაურობა შეუძლებელია. ეს «გზა», თუ შეიძლება ასეთი სახელი ვუწოდოთ იმ ბილიკს, არაგვის ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარეზე მიდის, ასე რომ მოგზაურს ხშირად სჭირდება ხოლმე არაგვში გასვლა-გამოსვლა, ან შიგ წყალში, ან ხიდზედ. ხიდებს შეადგენს მდინარეს ორსავე მხარზედ მისანგლულ წიფლის მორებზედ გადებული რამდენიმე წიფლისავე ხე, რომლებზედაც ფიცრებია ან ლასტები გაწყობილი და ზედ ქვიშაა წაყრილი. ამ ნაირ ხიდებზედ გასვლა საშიშია და ძნელი, მეტადრე შეუჩვეველ მოგზაურისათვის. შედგება თუ არა მგზავრი ხიდზედ, მეტადრე ცხენოსანი, ხიდი ზანზარს დაიწყებს და არყევს ზედ მიმავალს. ხიდის ზანზარისაგან შეშინებული მგზავრი ძალა უნებურადა ჰფიქრობს: აი ან ახლა ჩატყდება ხიდი, ან ახლა ჩამაგდებს და მიმცემს გაფოთებულის არაგვის ტალღებსაო.

არაგვის ჴალა ფშავში ორსავე მხრიდგან დახშულია მაღალის მთებით, რომლებიც ძირს მშვენიერის, ხშირისა და დაბურულის ტყით შემოსილებია, ხოლო მაღლა, წვერებზედ შიშვლები. მთების კალთები ზოგან ძლიერ გვერდა-ფერდობებად, ხოლო ზოგან მოფენილ ვაკეებად პატარ-პატარა ხევებით დაყოფილები ჩამომწკრივებულები არიან არაგვის ჴალის აქეთ-იქით და იმათ თავისის დაუდგრომელის ტალღებით მუდამ ებრძვის და ძირს უთხრის არაგვი. თვით ჴალაც შემოსილია ხშირის ტყით; თუმცა იგი შემოზღუდულია მაღალის მთებითა და დახშულია, მაგრამ მაინც სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს, მეტადრე ზაფხულობითა და გაზაფხულობით. ივრის ჴალა არაგვისასთან შედარებით უფრო ფართოა, მაგრამ ხრიოკია, მცენარით ღარიბი. მთები ორისავე მხრით უფრო დაბლები და ვაკეები აქვს, შემოსილებია აგრეთვე ტყით; არაგვისა და ივრის ხეობები ერთმანეთისაგან, სხვათა შორის, იმითაც განირჩევიან, რომ არაგვის ხეობა ბარია, ხოლო ივრისა მთა ალაგი. არაგვის ხეობა მცენარეობით მდიდარია ივრისასთან შედარებით. დღეს თუმცა ფშავში ვენახი არსად არ მოიპოვება, მაგრამ იქ ნავენახარები და ნასაწნახლარები არაგვის ხეობაზედ სოფ. გუდარახამდე ცხადად მოჩანს. ხალხური გადმოცემა ამბობს, რომ ვაზი ძველ დროში არამც თუ ფშავში, არაგვის ხეობაზედ, მოდიოდა, ხევსურეთში, სუბარის ახოშიც-კი იყო ვენახიო. ბარის ახოელი ხევსურები დღესაც უჩვენებენ ხოლმე მოგზაურს სოფ. ბარის-ახოს ახლო სისოურების ნავენახარს.

მთების კალთები არაგვის ხეობაზედ სოფ. შუა-ფხომდე შემოსილებია ზოგან ხშირისა და მსხვილის ტყით და ზოგან წვრილი შიმელათი. ტყეს შეადგენს წიფლის ხე, თხილისა, პანტა, მაჟალორცხილა, მუხა, კაკლის ხე და სხ. შუა ფხოს ზევით მთები და ჴალა არაგვისა ღარიბია მცენარეთი, აქ ტყე იშვიათია და რაც არის, ისიც წვრილი, ივრის ხეობაზედ-კი მთების კალთები შემოსილია ტყით თითქმის ივრის სათავემდე. აქაც, როგორც არაგვის ხეობაზედ ზოგან წვრილია ტყე, ზოგან სხვილი, მომეტებულ ნაწილად ტყე წიფლისაა. კაკლის ხე ივრის ხეობაზედ იშვიათად მოდის. მოდის მხოლოდ მოფარებულ მყუდრო კუნჭულებში, სადაც დასავლეთის სასტიკი ქარი ვერა ხვდება, მაგალითად, თიანეთს ზევით. თვით თიანეთსა და ერწოს კაკლის ხე არ მოდის, რადგან ამ ადგილებს დასავლეთის მხრით დაბალი მთები აქვს, დასავლეთის ქარს ვერ იჭერს და ამის გამო ქარი და სიცივე აქ უფრო სასტიკია, ვიდრე თიანეთს ზევით ივრის ხეობაზედ, და უშლის კაკლის ხის მოყვანას. მთების უტყეო წვერებს ფშაველები საძოვრად და სათიბადა ხმარობენ.

ფშაველი შესდგება ოთხის სამამასახლისოსაგან. ორი სამამასახლისო ივრის ხეობაზეა, სახელდობრ არტნისა და ბოჭორმისა და ორიც არაგვის ხეობაზედ: შუაფხოსა და მაღაროს კარისა. ბოჭორმის საზოგადოება ფშაველში არა მდებარეობს, იგი მოშორებულია ფშაველსა, მდებარეობს ერწოს ქვევით; აქაც ფშაველები გადასახლებულან ადგილის სივიწროვის გამო სხვა-და-სხვა თემებიდამ ამ 40–50 წლის წინად. არაგვის სათავეშია შუაფხოს სამამასახლისო და იმას ქვევით მაღაროს კარის სამამასახლისოა. ივრის სათავეშია არტნის სამამასახლისო. შუა-ფხოს საზოგადოება შესდგება 21 სოფლისაგან, მაღაროს კარისა 14 სოფლისაგან, არტნისა 15 სოფლისგან და ბოჭორმისა 3 სოფლისგან. სრულად თიანეთის მაზრაში სცხოვრებს 7612 ფშაველი ორივე სქესისა *). სხვა მაზრებში მცხოვრებ ფშაველების რაოდენობაზედ-კი არავითარი ცნობა არა გვაქვს **). მოზრდილი, ხშირად დასახლებული სოფლები ფშაველში იშვიათი არ არის, თუმცა აქა-იქ გაფანტულ თითოოროლა სახლსაც მოგზაური ხშირად შეხვდება აქ. უფრო მოზრდილი სოფლები ივრის ხეობაზედ არიან — არტანი, ლიშო-ყვარა, ბოდა-ხევა, ლიჩანური, მგელათ-ციხე; არაგვის ხეობაზედ — ხოშარა, შუა-ფხო, ახადი, მათურა და სხ...

ძველს დროში ფშაველებს უცხოვრიათ, როგორც მათი ზეპირ-გარდმოცემა მოგვითხრობს, მარტო არაგვის ხეობაზედ, იმ სოფლებში, რომლებიც ეკუთვნიან შუა-ფხოს სამამასახლისოსა და მდებარეობენ არაგვის სათავეში. საკუთრივ ამ კუნჭულს ფშაველები უწოდებენ «ფშავის ხევს». ფშავის-ხევი ფშაველის წმინდათა წმინდაა და მას იგი არ გასცვლის არც უკვდავების ხეზედ და არც სხვის ქვეყნის სამოთხეზედ, «არ გამოვა ფშავის-ხევის წილიდგან». თითოეული თემი ძველს დროში შეადგენდა თითო სოფელს ფშავის-ხევს მცხოვრებს და შემდეგ გამრავლებისა თვით ფშავის ხევში და იმის აქეთ-იქით სხვა-და-სხვა სოფლები გაუშენებიათ.

(შემდეგი იქნება)

---

*) მამაკაცების რიცხვი მეტია დედაკაცებისაზედ 376-ით.

**) თიანეთის საზოგადოებაში, სოფ. ხაიშოშ-ჩაბანოში და ჩაფართაში, მცხოვრებლები ჩათვლილები არ არიან ზემოდ მოყვანილს რიცხვში.

მელიც იყო ვანათის სასოფლო სკოლის მასწავლებლად და ეხლა ქ. გორში და გამართული აქვს კერძო სასწავლებელი და ქართულის წიგნის მაღაზია.

კრება გათავდა ამ თვის 28-ს.

## საბიბლიოგრაფიო წერილი

ჩვენ შემთხვევა გვქონდა დაგვეთვალიერებინა თავ. გრ. გურიელის ხელთნაწერი წიგნები, რომელიც პატივცემულს თავადს დარჩა შემდეგ თავ. ნეს. წერეთლის გარდაცვალებისა. პატივცემულმა თავადმა კ. გ. სრულის კმაყოფილებით მოგვცა ნება გადაგვესინჯა რამდენიმე ხელ-ნაწერი წიგნი და თან გვითხრა, რომ დიდ-ძალი წიგნი თავ. ნ. წერეთელის წიგნთ-საცავისა სრულიად დაიკარგაო და სხვ. თავ. გურიელს ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, შესწირავს თუ არა იმ ძველს ხელ-ნაწერებს „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს. ამიტომ მეტი არ იქნება, თუ რამდენიმე ხელნაწერს წიგნს გავაცნობთ „ივერიის“ მკითხველს.

ეს ხელ-ნაწერი წიგნები არის: 1) „საქიმო წიგნი“. ეს დაწერილია ხუცურად ტყავზე, კარგად მოზრდილია და სულ 400 ფურცელს შეიცავს. წიგნის თავში ჩართულია წამლების სახელების ახსნა, სქელს ქაღალდზე დაწერილი. საქიმო წიგნი იწყება შემდეგი სიტყვებით: „ესე წიგნი საქიმო.·. ოდეს რუქანდან. სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს. მუნით ალაფად მოიღეს ქ: მ - რ პ - ტნი . · . ჭეშმარიტად: მისმა მწიგნობართ-უხუცესმან პროტო-უპერტიმოსმან და ვეზირთა ყოველთა უპირველესმან. კაცმან გონება მოზავმან და სღვთოთა მსჯავრთა მართლ - მსაჯულმან. ყოვლისა მპყრობელმან ულონოთა და ქვრივთამან. ქართულად მათარგმნინა. მე მიწასა მათსა. ხოჯა ყოფილსა“. შემდეგ ამ სიტყვებისა წიგნის სარჩევია, ანუ, როგორც მთარგმნელი სწერს, „კრება ასოურად.·. კ-ვ.·. რომელი საძებნელად და სამკურნალოსა. და რაცა უნდეს ადვილად ჰპოოს წამალნი სნეულთანი“. რა დროს და ან ვინ სთარგმნა ეს წიგნი, არ სჩანს.

2) ა) „ათინაიდა, თარგმნილი როსიულთ ქართულსა ზედა დავით ზურაბის ძის ფურცელაძისაგან ჩყკÖ-სა წელსა შინა“ და ბ) „უფლისა ფენელონისა გარდასავალნი თელემაკის ძისა ულისსესნი“. ეს ორი თხზულება შეკრულია ერთად 237 ფურცლად; ნაწერია გაკრულის ნუსხურის ხელით სქელს თეთრსა და ლურჯს ქაღალდზე. წიგნს ბოლოსა აქვს „მოკლედი აღწერა ცხოვრებისა ფენელონისა და რაჲმე მისთა ნაქმართათვის“. „თელემაკის“ წიგნს სხოლიოები აქვს მთარგმნელისა. მთარგმნელი ამ წიგნისა მღვდელი იესე გარსევანოვია. „ათინაიდის“ წიგნის ბოლოს მიწერილია ლექსი—„ვნახოთ კალამო“. აი ეს ლექსი:

„მე ბექან მოვსულვარ მივსდევ...*)
სხვა ყმანი არ გამომყოლიან მარტო...
თუ არ მომკლან მასთანავე, ხმალშუბით დავიცადო
ღვთით საწუთრო გაუშავო, ასასრული გავაცხადო
მე ომისა მტერისაგან, ჩემი ბრძოლი გამოვსცადო
და არამია ჩემი ლხინი, თუ ტყუვილად დავიქადო
თქვენ სიაიშ მოატყუეთ, შეფიცე და მამათ ხადე
სულიერსა არ დაინდობ, ეშმაკისა ნუხარ ბადე
გებრძანა თუ მე გჯობივარ, კარგ ყმობითა დამექადე—
და თუ არ გახსოვს ვაქკაცობა, ბერი კიდე გამომცადე“.

„ტელემაკის“ წიგნის პირველს გვერდზე სწერია: „საქართუჲლოს მეფის გიორგის სძალმან წერეთლის ასულმან ქეთევან მაჩუქა გამოსახვა ესე ტელემაკისი წელთა ჩყიე მაისის დ-ს. გრიგოლ წერეთელი“. „ტელემაკის“ წიგნში სურათები ბლომათაა. ეს ნახატები, რომელიც მოჭრილია პეტერბურგს 1753 წ., ეხლა უმეტეს ნაწილად სიძველის გამო დაფცვნილია.

3) „ნათესავთ სიტყუაობა ალექსანდრე დიდისა რეინექციით“, წიგნი კურციოსისა, ნათარგმნია ანტონისა. წიგნი დაწერილია ნუსხურის ხელით სქელს ქაღალდზე. ანტონს ეს წიგნი მიურთმევია ირაკლისათვის, როდესაც იგი ჯერ კიდევ ჭაბუკი ყოფილა. წიგნს, აქვს წინასიტყვაობა, რომელიც ანტონს ეკუთვნის წინასიტყვაობაში ამბობს ანტონი: „მე უკჳ სიმაღლისადმი შენისა ვსაჯე მირთმად დროსა ამას მოლოცუად წიგნი კურციოსისი, რომელ საქმენი ალექსანდრე დიდისანი შრომითა ჩემითა ქართულსა კმასა ზედა გარდმოღებულნი“... წინასიტყვაობის ბოლოს აწერს: «მონაჲ და ძმა შენი ანტონი». სხოლიოებს ამ წიგნს ყველგან ანტონი უკეთებს. იქ, სადაც კურციოსის თხზულებაში ნათქვამია, რომ სპიტამენი მოჰკლა ცოლმა ძილის დროსაო, ანტონი, თითქო აღელვებული ამ გვარი საქციელით დედაკაცისა, შემდეგ ლექსსა სწერს სხოლიოში:

«დიაცთა სუბუქ-ცნობობა ბრძენთა აცვიფრებს გულებსა
პ-ლ სადამე ილიზღებს მისცემს ცნობას და სულებსა,
ვით აქა ცხადად გაჩუÖნებს სიყუარულისა წყლულებსა
და სპიტამენს მკუდარსა ცოლისგან საწოლსა კარდაკშულებსა“.

წიგნის ბოლოს მოწერილია: «დასრულდა წიგნი ესე ბრძანებითა სახლთუხუცის წერეთლის ძის გრიგოლისათა, კელითა ოსე მღვდლის გაბაშვილისათა თთუÖსა აგვისტოსა იდ წელთა ჩყია“.

ამავე წიგნის პირველს გვერდზე, ცარიელ ფურცელზე, არის დაწერილი სამი პატარა ლექსი. ლექსების ავტორი არსაიდამა სჩანს წიგნში. პირველი ლექსი წაშლილია, ორი უკანასკნელი ლექსი ესაა:

„სტვენანი ბულბულთ სამონია ახარებს გულთა ყრმათასა
„იადონნი და მერცხალნი გალობენ მეტსა ხმათასა
„ყრმანი ჭაბუკნი უჭვრეტენ სახედ მიჯნურთა სხვათასა
„და გონება ვრცელი აქა სდევს ჰპოებას უმჯობესს ქმნათასა“.

—

„ვის ყრმათა ყრმული საქმენი სულთა აქვს შთანათესია
იგი უგულოდ იკითხავს, აქა-იქ სძებნის ესია
სხვათა დაფარავს აზრებთა, ზარმაცებს მარად მკვნესია
და ესე სჯობს იცნას კურციოს, ამტკიცოს უმჯობესია“.

4) „საპოლიტიკო თიატრნი, ანუ საყოფაქცეო სახილველობა, რომელსა შინა შეკრებულ არიან უაღრესნი განზრახუანი თუ რაჲ უხმს ჰქმნად და რაჲსაგან ლტოლუად თანხმდებ არს მთავარი“.

ეს წიგნი დაწერილია მხედრულის ასოებით სქელს ქაღალდზე; სიდიდით „საქართველოს სამოთხის“ ტოლაა და დაყოფილია 30 თავად. უთარგმნია ეს წიგნი (რომელ ენიდამ არა სჩანს) ლუბერსკი სეკრეტარს იონე იალღუზის ძეს 1824 წელს დეკემბრის 31 დღესა.

5) „წმინდა მარტირიკა“. წიგნის პირველს გვერდზე სწერია თ. გრიგოლ წერეთლის ხელით: „ჩყმ წელსა იანვრის კ-ს ეს წმინდა მარტირიკა ებოძა ჩემთვს დავით ლეონის ძეს დადიანს, სახსოვრად მისსა, რომელი ვიყავ დედით ბიძაჲ მისი“. კარგა მოზრდილი წიგნია და დაწერილია მშვენიერის, ადვილად წასაკითხ მხედრულ ასოებით (ქაღალდზეა). განიყოფება „მარტირიკა“ 20 თავად, ანუ «სიტყვად». წიგნი იწყება წმიდის ქეთევანის ცხოვრების აღწერით, შემდეგი სათაურით (ხუცურად: «შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წ-ისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისთა, ქმნილი ანტონისაგან არქიეპისკოპოსისა ყ-სა ზემოჲსა საქართველოჲსა, დავითიან ბაგრატოვანისა». ამ თავის, ანუ «სიტყვის» ბოლოს გადამწერის ხელით სწერია: „სრულ იქმნა წელსა განხორციელებიდგან სიტყვსა ღთისა 1768 თთუÖსა ოკტომბერსა, 31: ტრიფილესაგან“. მეორე თავი დაუსრულებია მასვე 1768 წ. ნოემბრის 22-ს და სხ. თითოეული მოწამის ცხოვრების აღწერას წინაუძღვის სხოლიონის ადგილზე ლექსი ანტონისა.

6) „ტიბიკონი ანუ წესდებულება სამხედრო თანამდებობისათვის ღენერალთა ფელდმარშალთა და ყოვლისა ღენერალიტეტისა და სხვათა ხარისხთასა“. ამ სათაურის შემდეგ პირველს გვერდზევე აწერია, რომ ეს წიგნი დაიბეჭდა პეტერბურგის „საიმპერატოროჲსა აკადემიისათანა სწავლათასა, ჩღჟე წელთა, ხოლო ქართულსა ზედა ენასა ითარგმნა ბრძანებითა იმერეთისა თავადის მისის ბრწყინვალების უფლის მაიორის და კავალერის გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლისათა, საქართველოს აზნაურის იასე გარსევანოვისაგან წელსა ჩყკდ-ს ივნისის კდ-სა დღესა“. წიგნი შეიცავს 242 გვერდს, დაწერილია გაკრულ ნუსხურის ხელით სქელს ლურჯ ქაღალდზე. იკითხება ადვილად. წიგნი კარგად არის შენახული.

7) ერთ წიგნად არის აკინძული: ა) აღწერა ცხოვრებისა წმიდისა მოწამისა დიმიტრისა და წმიდისა მოწამისა რაჟდენისა და სხვათა. ეს აღწერა ნუსხურის ხელით არის ქაღალდზე; ბ) „გარდამოცემა თქმული წმიდისა მამის ჩვენისა იოანნე დამასკელისა“, ეს-კი ხუცურადაა დაწერილი ქაღალდზე; გ) მე-45 ფურც. მე-268 ფურცლამდე არის ძველი აღთქმის ისტორიის განმარტება „დიდისა ბასილისა“; დაწერილია მშვენიერის მრგვალის ხელით და დ) სათაური წიგნისა არ არის, დაყოფილია თავებად; საძიებელი ანუ ზანდუკი წიგნის ბოლოს არის მოქცეული. თავი 1 „ბუნებისათვის კაცისა“, თავ. 2 „სულისათვის“, თავ. 3 „შეერთებისათვის სულისა და სხეულისა“, თავ. 4 „სხეულთათვის“, თავ. 5 „ასოსათვის“ და სხვ. ამ საძიებლის ბოლოს სწერია: „ელლადელთ კმათაგან გარდამოიცა ესე ქართულად საკვირველისა ფილოსოფოსისა ჩუÖნისა პეტრიწისა მიერ, იოანნედ სახელდებულისა, კელლნსა შინა გეენათისა“.

ი. ხოტეველი

ქ. ოზურგეთი

## უცხოეთი

ინგლისი. 22 ივნისს საზოგადოებათა პალატაში დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. გლადსტონმა ადრევე დაიჭირა თავისი ადგილი და მთავრობისა და მოწინააღმდეგეთა სკამებზე დიდ-ძალი მინისტრები და ექს-მინისტრები შეიყარნენ. ჩემბერლენი, რომელიც ამ ბოლოს დროს ძალიან იშვიათად დადის პარლამენტში, ოპოზიციის წინა სკამზე იჯდა და პატარა ხანს შემდეგ იმასვე ამოუჯდა გვერდით ლორდი გარტინგტონი. ირლანდიელნი ყველანი იქ იყვნენ და პარნელითურთ კამათობაში მონაწილეობას იღებდნენ. უცხონიც ბევრნი იყვნენ და კრება საზოგადოდ ისეთი გაცხოველებული იყო, როგორიც იშვიათად არის ხოლმე. პატარა ხანს შემდეგ კრება დაიწყო და სმიტმა გამოაცხადა, რომ განსაკუთრებული კომიტეტი ამოვირჩიოთ დედოფლის მიერ გამოგზავნილის ქაღალდის გასარჩევად, და აგრეთვე იმას გამოსარკვევად, თუ რა გზას ადგა უწინდელი პალატა სამეფო გვარეულობის წევრთათვის მზითევის დანიშვნის საქმის თაობაზეო. ამავე კომიტეტს უნდა მიენდოს იმის გადაწყვეტა, თუ პალატა ამიერიდგან ამ საქმეს როგორის თვალით უნდა უყურებდესო. ეს ლაპარაკი ასტეხა იმ საქმემ, რომ ხაზინის ფულიდგან მზითევი მიეცეს უელსის პრინცესა ლუიზასაო. მთავრობას ეშინოდა, ვაითუ ოპოზიციამ წინააღმდეგობა გაგვიწიოს ამ საქმეშიო, და თითონვე მოიწადინა საგანგებო კომიტეტის დანიშვნა ამ საქმის გასარჩევად და გამოსარკვევად. დედოფლის ქაღალდის წაკითხვის დროს ყველა დეპუტატებმა ქუდები მოიხადეს, ორ-სამ ირლანდიელ დეპუტატს გარდა. სმიტმა გამოაცხადა, რომ რაკი ამ საქმის გამოსარკვევად კომიტეტი ინიშნება, იმედია, ამ დანიშვნას პალატა ერთხმად დაამტკიცებსო. ხაზინის მთავარლორდმა სთქვა: შეიძლება ზოგიერთს არ ესიამოვნოს ის გარემოება, რომ კომიტეტის დანიშვნის სურვილი ადრევე არ წარმოითქვაო. თუ გამოჩნდა ასეთი ვინმე, ამ ბრალს მე ვკისრულობო. გლადსტონმა უპასუხა, რომ ჩემის აზრითაც ფრიად სასურველია კომიტეტის დანიშვნა ერთხმივ იქმნას დამტკიცებული და ამას გარდა პალატა არავითარს შემთხვევაში არ გაკისრებინებთ მარტო თქვენ იმ ბრალს, რომ კომიტეტი მაგ ფრიად საჭირო საქმის გამოსაძიებლად ასე გვიან ინიშნებაო. ასე მშვიდობიანობა ჰსუფევდა პატარა ხანს პალატაში, ხოლო შემდეგ საქმე ორმა რადიკალმა დეპუტატმა გაამწვავა. ლაბუშერი ეძგერა თვით დედა-აზრს მზითვის დანიშვნისას და გამოაცხადა, რომ მთავრობამ საგანგებო კომიტეტის ამორჩევა იმიტომ წამოაყენა წინ, რათა ეს საქმე პალატაა მოახვიოს თავზედ და თითონ აიცილოს პასუხის-მგებლობაო. „პალატასაო, სთქვა ორატორმა: უფლება აქვს შეიტყოს, აქვს თუ არა დედოვალს იმდენი შეძლება, რომ თავისის ოჯახის საჭიროება დააკმაყოფილოს. თვით ოჯახმა უნდა იზრუნოს თავისის შვილებისათვის და ამისათვის ვგონებთ საკმაო იყოს კიდეც ის 2:000,000 მანათი, რომელსაც სამეფო გვარეულობას ვაძლევთ, დედოფლის ჯამაგირს გარდა“. ბრადლომ გამოაცხადა, რომ სამეფო გვარეულობის ხარჯის ქაღალდი უნდა განვიხილოთ სულ ერთიანადაო. ბრადლოს წინადადება უარყოფილ იქმნა 313 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 125 ხმისა, ხოლო სმიტისა-კი დამტკიცდა. გლადსტონი, ჯ.-მორლეი, მუნდელლა და შოლეფევერი ბრადლოს წინადადების წინააღმდეგნი იყვნენ; ტრევილიანი, ვუდალი, ჩარლზ-როსელი და რამდენიმე ლიბერალ-დისიდენტიც-კი, მათ შორის კენი, ტ. როსელი და რიჩარდ ჩემბერლანი,—მთავრობისა.

## დეპეშა

1 ივლისი

ვენა. ტრიესტში მცხოვრებ ჩერნოგორიელებს განუზრახავთ საჩუქარი მიართვან ჩერნოგორიის მთავრის ასულს მილიცას და ამიტომ ხელის-მოწერა გაუმართავთ.

ათინა. კრიტიდგან მიღებულმა დეპეშამ ძალიან ააშფოთა აქაური საპოლიტიკო დასები. რამდენიმე ათასი შეიარაღებული კრიტელი შეკრებილა ბუნაცარიაში, პროკლამაცია გამოუციათ და ურჩევენ კრიტელებს: გადასახადი არ აძლიოთ მთავრობას, ძალაზედაც რომ მიდგეს საქმეო. იუწყებიან, რომ სამი ვემი მისულა კრიტს, ერთი რუსისა და ორიც ინგლისისა.

2 ივლისი

პარიჟი. დღეს მემარცხენეთა დასმა წარუდგინა პალატას კანონ-პროექტი, ბულანჟეს წინააღმდეგ მიმართული. ამ კანონ-პროექტის ძალით ერთსა და იმავე კაცს ნება არა აქვს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე რამდენსამე ადგილას. მემარჯვენეთა დასმა და ბულანჟისტებმა წინააღმდეგობა განაცხადეს. პალატამ დაადგინა, რომ ამ პროექტის გარჩევის გადადება ყოვლად შეუძლებელიაო. ამის გამო დიდი აყალმაყალი ასტყდა, ასე რომ დროებით სხდომა შეაჩერეს. პალატამ დროებით განაძევა დეპუტატი ლე გერისე. ლე-გერისემ ურჩობა გასწია და ამიტომ ძალად გაიყვანეს. პალატამ შეიწყნარა კანონ-პროექტი.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივნისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | $7^{3}/_{4}$ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $155^{1}/_{2}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | $268^{1}/_{2}$ |
| —მეორისა . . . . . . | — „ | — „ | $244^{1}/_{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . | — „ | — „ | — „ |

*) წერტილები აჩვენებს წაშლილს სიტყვებს ლექსისას.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 მკათათვიდამ 16 მკათათვემდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . | 4 | „ |
| მე-3 — . . | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სმ-შაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულ-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

## „ვაზა“-ს ბაღის ბუფეტი

გადატანილია საზაფხულო სადგომში, მდ. მტკვრის პირზე, სადაც ყოველ დღეს შეიძლება ახალის სანოვაგით დამზადებულის სადილ-ვახშმისა და აგრეთვე აზიურისა და ევროპიულის საჭმელების შეკვეთა. (2—2)

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის განცხადება

1) მომავალის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის პანსიონში დანიშნულია ოთხი ვაკანსია ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ვისაც კენჭი ერგება ამ ვაკანსიებისა და წლოვანების შესაფერ ეგზამენსაც დაიჭერს მოსამზადებელის კლასის განყოფილებებში შემოსასვლელს, იგი მიღებულ იქმნება საზოგადოების სრულს ხარჯზე. კენჭი ჩამოეტარება მხოლოდ იმ თავად-აზნაურთა შვილებს, რომელნიც ბანკის დამფუძნებლებად ირიცხებიან. ხსენებული ოთხი ვაკანსია სკოლის კომიტეტის მიერ განაწილებულია მაზრებს შორის ამ რიგად: თელავის მაზრისათვის არის დანიშნული ერთი ვაკანსია, სიღნაღის მაზრისათვის—ერთი, ერთია ტფილისისა და დუშეთის მაზრებისათვის და ერთიც გორის მაზრისათვის. ამას გარდა დაწესებულია, თანახმად საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა, ყოფილის თავმჯდომარის გენერალ - ლეიტენანტის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის სახელზე ორი ვაკანსია, რომელზედაც მიღებულ იქმნებიან ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილები.

2) საზოგადოების ნახევარს ხარჯზე მიღებულ იქმნება ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრის ღარიბ თავად-აზნაურთაგან ცხრა ყმაწვილი, რომელნიც ვალდებულნი იქმნებიან შემოიტანონ წელიწადში ათ-ათი თუმანი—ხუთი შემოსვლისათანავე და ხუთი იანვარში.

3) პანსიონერები მიიღებიან საკუთარს ხარჯზედაც და ამათ უნდა შემოიტანონ წელიწადში ოც-ოცი თუმანი — ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

4) საზოგადოდ სკოლაში შემომსვლელთათვის იქნება ოთხმოც-დარვა (88) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—ოც-და-თვრამეტი (38) შვიდისა და რვა წლის ყმაწვილებისათვის, მეორე განყოფილებაში — თხუთმეტი (15) 8 და 9 წ. ყმაწ; მესამეში—ცხრა (9) 9 და 10 წლის ყმაწვილ. და მეოთხე განყოფილებაში—ექვსი (6) ვაკანსია 10 და 11 წლის ყმაწვილებისათვის; პროგიმნაზიის პირველ კლასში— ათი (10) 11 და 12 წლის ყმაწვ. და მეორე კლასშიაც—ათი (10) 12 და 13 წლის ყმაწვილებისათვის.

5) გარედგან მოსიარულეთ შემოაქვსთ სწავლის ფასი წელიწადში თორმეტი მანეთი იმავე წესით, როგორც პანსიონერები იხდიან ხარჯის ფულს, ე. ი. ნახევარი ენკენისთვეში უნდა შემოიტანონ და ნახევარი იანვარში.

6) არც პანსიონში და არც გარეთგან მოსიარულედ ყმაწვილები მიღებულნი არ იქმნებიან, თუ მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ თანახმად სკოლის პროგრამისა.

7) როგორც პანსიონში შემომსვლელმა, ისე გარედგან მოსიარულემაც, თუ მისი მშობლები მუდამ ტფილისში არა სცხოვრობენ, თავდებად უნდა მოიყვანოს ტფილისის მცხოვრებთაგანი ვინმე, რომელსაც ხელწერილი ჩამოერთმევა, რომ იგი ჰკისრულობს ყმაწვილის მშობლების მაგივრობას, სანამ ყმაწვილს მშობლები არა ჰყავს ქალაქში, და საჭიროების დროს გამოცხადდება კიდეც სკოლის უფროსთან, რომ ყოველი მოთხოვნილება სკოლის შესახებ ყმაწვილისა დაუყოვნებლივ აასრულოს.

8) ვისაც სურს ყმაწვილის მობარება სკოლაში, თხოვნა უნდა შემოიტანოს მარიამობისთვის თხუთმეტ რიცხვიდგან ოც-და ხუთამდის ტფილისს ინსპექტორის სახელზე და თხოვნასთან ერთად დოკუმენტებიც უნდა წარმოადგინოს. ვისაც პანსიონში უნდა შემოსვლა საზოგადოების სრულს, ან ნახევარს ხარჯზე, იმას მოეთხოვება: ა) წლოვანების მოწმობა, ბ) მოწმობა თავად-აზნაურობისა, გ) სიღარიბის მოწმობა და დ) ყვავილის აცრისა. ვინც საკუთარს ხარჯზე შემოდის პანსიონში, ან გარედგან მოსიარულედ, იმისათვის სავალდებულოა წლოვანების მოწმობა და მოწმობა ყვავილის აცრისა.

9) მარიამობის თთვის ოც-და ხუთიდგან დაიწყება მისაღები ეგზამენები სწავლა დაიწყება სკოლაში პირველს ენკენისთვეს.

10) ვისაც წარსულს წელში ჰქონდა თხოვნა შემოტანილი და ვაკანსია არა ჰრგებია, იმან ხელ-ახალი თხოვნა უნდა შემოიტანოს წელს და თუ მაშინ არ წარმოუდგენია ყველა ზემოხსენებული დოკუმენტები, ახლა უნდა წარმოადგინოს.

(3—2)

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გუღისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. დამბაშიძისა. . . . . . . | „ | 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| დავით აღლაიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კატიტაძის მიერ . | „ | 5 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . | „ | 10 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა . . | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |

---

### კერძო ექიმი
## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის სასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილის ქუჩა, ბექხანოვის სახლი, № 103.

(10—2)

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

### ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა

(თვით ღირსის მარიამის სურათითურთ)

**ფასი ორი შაური.**

ვინც ბევრს ერთად დაიბარებს ამ წიგნს „ქართულ სალმრთო წიგნთ-საკითხავიდგან“, იმას გზის ხარჯი არ გამოერთმევა. „ქართული სალმრთო წიგნთ საკითხავი“ იმყოფება: ბაზრის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლში, № 11, სადგომი № 14. ამ „წიგნთ-საკითხავში“ ყოველ გვარ სალმრთო წიგნების კითხვა შეიძლება უფასოდ ყოველ დღე, ნაშუადღევის 4 საათიდგან 9-მდე. ვინც რომელისამე წიგნის სხვაგან წაღებას მოისურვებს, გირაოდ უნდა დასტოვოს წიგნის ფასი.

---

### მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108

(50—2)

---

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ




СЕРЕБРЯНАЯ

**А. А.**




ЗОЛОТАЯ

# ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—41) ა. თუთაევი

---

# „საქართველოს კალენდრის“
### რედაქციისაგან.

**„საქართველოს კალენდრის“** რედაქცია უკვე შეუდგა 1890 წლის კალენდრის შედგენასა და საჭირო მასალის მომზადებას. კალენდრის სისრულისა და სავსებისათვის საჭიროა მრავალ გვარი საქართველოს შესახები ცნობა და მასალა, ბეჯითად და ზედ-მიწევნით გამოძიებული. ამიტომ რედაქცია მიჰმართავს ყოველს ქართველს, ვისაც-კი შეძლება აქვს თავის სამსახურისა და მდგომარეობის გამო რომელიმე წყება და რიგი იმ ზედ-მიწევნილთა საკალენდარო ცნობათა და მასალათა შეიტყოს და მოიპოვოს, მოგვაწოდოს და ამით ჩვენც დაგვავალოს და ჩვენს საზოგადოებასაც, რომელსაც ასე ძლიერ ეჭირვება ყოველისფრით სრული, სავსე და ვრცელი საკალენდარო წიგნი. თავის მხრით რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ ბეჯითად მოეკიდოს ამ რთულს საქმეს, აიცილოს თავიდამ ის ნაკლებულება, რომელიც პირველ ხანში ძნელად ასაცილებელი იყო, და სამერმისოდ უკეთესი კალენდარი შესძინოს ჩვენს საზოგადოებას.

—

ზემოხსენებული ცნობა და მასალა სასურველია მოუვიდეს რედაქციას 15 სექტემბრამდე.

—

რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველ გვარს სალიტერატურო ნაწერს და ცალკე გამოკვლევას კალენდრის სალიტერატურო განყოფილებაში დასაბეჭდად.

—

რედაქცია მიიღებს კალენდარში დასაბეჭდად ყოველ გვარ განცხადებას როგორც ქართულს, ისე რუსულსა და სხვა ევროპულს ენაზე შემდეგის პირობით: ერთი გვერდი წიგნის თავში ღირს 12 მან., ნახევარ გვერდი—7 მან. წიგნის შუაში ერთი გვერდი 10 მან. ბოლოში—6 მან. წიგნის ბოლოში: ერთი გვერდი—5 მან., ნახევარ გვერდი—3 მან., მეოთხედი—2 მან.

ვინც განცხადებას დაჰბეჭდავს კალენდარში, 1890 წლის კალენდარს უფასოდ მიიღებს. განცხადებათათვის უნდა მიჰმართონ ტფილისში: ვ. გუნიას, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიას, ფოთში—ნოდიას წიგნის მაღაზიას, ბათუმში—მ. ნათაძეს.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ. Дворянскій банкъ.* **Валеріану Гунія.** (10—5)

Доз. ценз. Тифлисъ 3-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е.Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე